



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის



ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA000001398593421

№ 368/ს

02 / მარტი / 2021 წ.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 76-ე მუხლის 3-ე პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

მუხლი 1. დამტკიცდეს:

ა) ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფი დანართი N1 - ის შესაბამისად;

ბ) 2021 - 2022 წლების მუნიციპალიტეტის შიდა საბიუჯეტო კალენდარი დანართი N2 - ის შესაბამისად;

გ) საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მოსაწოდებელი განაცხადის ფორმები 3-6 -ე დანართების შესაბამისად.

მუხლი 2. დაევალოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის „საფინანსო სამსახურის“ უფროსს გიორგი მანგოშვილს ერთი თვის ვადაში შეადგინოს:

ა) საბიუჯეტო კალენდართან (დანართი N2) შესაბამისი, საბიუჯეტო ორგანიზაციებთან შეხვედრების განრიგი;

ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის პრიორიტეტების ნუსხა;

გ) რეკომენდაციები ახლად შემოთავაზებული პროგრამების პრიორიტეტულობასა და ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით;

დ) წლიური ბიუჯეტისა და პროგრამების შესრულების ანგარიშის ფორმები N7-8 დანართის შესაბამისად.

მუხლი 3. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის „საფინანსო სამსახურმა“, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის „ადმინისტრაციულ სამსახურთან“ ერთად უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავებასთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის კოორდინაცია და საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის შესაბამისი სწავლების ორგანიზება.

მუხლი 4. დაევალოს „პრიორიტეტების დოკუმენტზე“ მომუშავე ჯგუფს აღნიშნული დოკუმენტის მოსამზადებლად მუშაობა დაიწყოს მიმდინარე წლის 1 მარტიდან.

მუხლი 5. პრიორიტეტის დოკუმენტი უნდა შეიცავდეს „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 76-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

მუხლი 6. ბრძანება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე

მუხლი 7. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, შემდეგ მისამართზე: ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/
შტამგვანსულია
ელექტრონულად

ჯონდო მდივნიშვილი